კაზუსი N1

შეცდომით გაყიდული ყანწი

მუხლები: 50; 72; 73 (პირველი ნაწილი); 79 (პირველი ნაწილი).

როგორც კაზუსიდან ირკვევა, თორნიკეს სურვილი ჰქონდა, რომ ლევანისთვის მიეყიდა ყანწი 1000 ლარად, მაგრამ თორნიკე შეცდა გარიგების შინაარსში და მიუთითა, რომ იგი მიჰყიდდა ლევანს ძვირადღირებულ და ანტიკვარულს ნივთს 100 ლარად ანუ ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს გარიგება, რომლის შინაარსშიც არის შეცდომა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73 მუხლის „ბ“ ფუნქტი წარმოადგენს გარიგების გაუქმების საფუძველს. გარიგების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ არსებითი შეცდომები, 72 მუხლის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ თორნიკეს არ აქვს უფლება რომ ლევანს მოსთხოვოს ამ ყანწის გადაცემა რადგან 73 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, თორნიკეს შეუძლია კანონიერად უარი განაცხადოს ყანწის გადაცემაზე, რადგან მისი შეცდომა ანუ გარიგების შინაარსის შეცდომა წამოადგენს გარიგების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს.

კაზუსი N2

გაყიდული ფიროსმანის „მეთევზე“

მუხლები: 50; 72; 74 (მეორე ნაწილი); 79 (პირველი და მეორე ნაწილები); 976 (პირველი ნაწილი).

როგორც კაზუსიდან ვიგებთ, ამირანს ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული ფიროსმანის ნახარი „მეთევზე“, რომელსაც იგი მიიჩნევდა რეპროდუქციად, ამიტომ მან ეს ნახატი მიჰყიდა დავითს 1000 ლარად, ამის შემდეგ გაირკვა, რომ ეს ნახატი იყო ორიგინალი და ღირებულებაც ერთ მილიონს შეადგენდა, ამიტომ ამირანმა მოითხოვა დავითთან დადებული გარიგების ბათილობა. ამ გარემოების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამირანს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ნახატის დაბრუნება კოდექსის 72 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს არსებითად, თუ მას მნიშვნელობა აქვს საგნის ღირებულების განსაზღვრაში, კაზუსიდან კი აშკარაა, რომ თვისების განსაზღვრამ აშკარად გამოიწვია ღირებულების ცვლილება. ნახატი შეფასებული იყო 100 ლარად, რელაურად კი მილიონს შეადგენდა მისი ღირებულება ანუ ამირანს კანონიერი უფლება აქვს 74 მუხლის 2 ნაწილის თანახმად ,რომ მოითხოვოს დავითისგან ნახატის დაბრუნება.

კაზუსი N3

იმედგაცრუებული ლუკა

მუხლები: 50; 72; 74 (მეორე ნაწილი); 61 (მესამე ნაწილი); 79 (პირველი ნაწილი); 81; 82; 84.

როგორც კაზუსიდან ვიგებთ, ლუკამ გადაწყვიტა ეყიდა მეორადი მანქანა ავთოსგან. მან იყიდა მანქანა რომელსაც ავთოს თქმით გავლილი ჰქონდა 50 000 კმ, სინამდვილეშ კი ამტომობილს გავლილი აქვს 150 000 კმ. მას შემდეგ რაც რაც ლუკამ აღმოაჩინა რომ მოტყუვდა, თავდაპირველად იფიქრა რომ შეცილებოდა, ხოლო შემდეგ ადაიფიქრა და მანქანის ნაწილი შეაცვლევინა. ამის შემდგომ კი მოითხოვა შეცილება შეცდომაში განძრახ შეყვანის გამო. ამ შემთხვევაში კოდექსის 81 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ლევანს აქვს უფლება მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. როდესაც პირს ატყუებენ გარიგების დადების მიზნით, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ როდესაც აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა ანუ ლუკას თავიდანვე რომ სცოდნოდა ამის შესახებ, რა თქმა უნდა არ დადებდა გარიგებას. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დასკვნი სახით ვთქვათ, რომ ლუკას უფლება აქვს დაიბრუნოს კუთვნილი თანხა, ხოლო მანქანა დაუბრუნდეს ავთოს. რაც შეეხება ავთოს არ აქვს უფლება რომ ლუკას მოსთხოვოს ავტომობილის ღირებულების ანაზღაურება,რადგან ეს გარიგება წარმოადგენს მოტყუებით დადებულ გარიგებას და ბათილია არსებითი შეცდომის გამო.

კაზუსი N4

იაფფასიანი საათი

მუხლები: 50; 103 (პირველი ნაწილი); 104 (პირველი და მესამე ნაწილები); 106; 107; 81; 976 (პირველი ნაწილი).

კაზუსიდან ვიგებთ, რომ შპს „მაღაზიის“ დირექტორმა, ირაკლიმ გადაწყვიტა მეგობრისთვის ძვირფასი საათი ეყიდა, მოუცლელობის გამო ამ საქმის შესრულება ირაკლიმ თავის ასისტენტს სოფოს დაავალა, მაღაზიაში მისული სოფო გამყიდველმა მოატყუა და ძვირაფსი საათის ნაცვლად იაფაისანი საათი მისცა, ხოლო თანხა იმდენი გამოართვა, რმადნიც ირაკლიმ გაატანა. როდესაც ირაკლიმ ნახა, მაშინვე მიხვდა რომ საათი არ იყო ძვირადრირებული და რადგან სოფოს ენდობოდა, გადაწყვიტა დაეჯერებინა მისი მონაყოლი და მაღაზიისათვის გადაცემული თანხის უკან დაბრუნება მოეთხოვა. როგორც ვიცით, კოდექსის 104 მუხლის 1 მაწილის თანახმაც, როდესაც პირი წარმომადგენლობით დებს გარიგებას ამ შემთხვევაში, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირის, ანუ ამ შემთხვევაში უფლებები და მოვალეობები წამოეშობა იარკლის, ამავე დროს ეს გარიგება არის მოტყუებით დადებული. კოდექსის 81 მუხლის 1 ნაწილის თანახმად თუ პირი გარგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია

მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა, ეს ხდება მაშნ, როდესაც შკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რადგან ირაკლის წამოეშვა უფლებები და მოვალეობენი, რადგან ეს გარიგება მოტყუებით დადებულია, ამავე დროს მას შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა, ანუ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

კაზუსი N5

„ჯიბის ფულის“ განკარგვა

I. მოთხოვნის წარმოშობა:
გიორგის შეიძლება ჰქონდეს ლაშას მიმართ მომდევნო თვის თანხის გადახდის უფლება სსკ–ის 477-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, გამყიდველი მოვალეა მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ნივთზე, ხოლო მყიდველი ვალდებულია გაიხადოს შეთანხმებული თანხა.
1. გიორგის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, რომ ეს მოთხოვნა აღნიშნული მუხლის საფუძველზე წარმოშობილად ჩაითვალოს. აუცილებელია, მხარეთა ნების გამოვლენის შედეგად შედგეს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ე.ი. ნასყიდობა, როგორც ხელშეკრულება, უნდა წარმოადგენდეს მხარეთა შეთანხმებული ნების გამოვლენის შედეგს. კაზუსის ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, რომ გიორგიმ ლაშას ნახმარი ველოსიპედი შესთავაზა 360 ლარად, ყოველთვიური 30 ლარის გადახდით, ლაშამ კი მიიღო ეს შეთავაზება.
2. გიორგისა და ლაშას შეთანხმებული ნება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ნასყიდობის ხელშეკრულების წარმოშობის საფუძველი, როცა თითოეული მათგანის ნების გამოვლენა აკმაყოფილებს ნების გამოვლენის ნამდვილობის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
3. გიორგის ნების გამოვლენა, როგორც კაზუსიდან ჩანს, ეჭვს არ იწვევს და იგი შემოწმებას არ საჭიროებს. შესამოწმებია ლაშას ნების გამოვლენის ნამდვილობა.
4. ლაშას ნების გამოვლენა უცილოდ ბათილად ჩაითვლება, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს იგი იქნებოდა ქმედუუნარო სამოქალაქო კოდექსის მე–12 მუხლის მე-4 ნაწილისა და 58-ე მუხლის მიხედვით. ლაშა ხელშეკრულების დადების მომენტში იყო 15 წლის და ამდენად, სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. ამდენად, ნების გამოვლენის ბათილობას ქმედუუნარობის საფუძველზე ადგილი არა აქვს.
5. გასარკვევია, შეზღუდულად ქმედუნარიანი ლაშას ნების გამოვლენა შეიძლება იყოს თუ არა ბათილი. სსკ-ის მე-15 მუხლიდან და 58-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ასეთი ნების გამოვლენა ავტომატურად არც ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს და არც ბათილად. ვინაიდან ლაშამ გიორგის შეთავაზება მიიღო, მათ მიერ დადებული ხელშეკრულება მერყევად ბათილად უნდა ჩაითვალოს. მერყევად ბათილი გარიგება ნამდვილობისა და ბათილობის ზღვარზეა. თუ რა მიმართულებით მოხდება საეჭვოობის მოხსნა (გაქარწყლება), ეს დამოკიდებულია დასახელებული მუხლებით გათვალისწინებულ გარემოებებზე.
6. ლაშას როგორც შეზღუდულად ქმედუნარიანი პირის, მიერ დადებული გარიგება

ნამდვილი უნდა იყოს. სსკ-ის მე-15 მუხლისა და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იგი ნამდვილია, თუკი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ღებულობს სამართლებრივ სარგებელს, ან სახეზეა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი ან შემდგომი თანხმობა აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებით.
7. აუცილებელია სახეზე იყოს მხოლოდ უფლებრივი სარგებელი. უფლებრივი სარგებელი მაშინაა, როცა არასრულწლოვანი მხოლოდ უფლებებს იძენს და არ იტვირთება მოვალეობებით. სსკ-ის მე-15 მუხლში და 63-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული სარგებელი ამ კონტექსტში უნდა გავიგოთ. მასში მხოლოდ უფლებრივი სარგებელი იგულისხმება, მიუხედავად იმისა, რომ უბრალოდ სარგებელზეა საუბარი. უფლებრივი სარგებელი კი არასრულწლოვანმა შეიძლება მიიღოს როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი გარიგებიდან. ორმხრივ გარიგებებში შესაძლებელია როგორც უფლებრივი სარგებლის, ისე მოვალეობების წარმოშობა. როგორც კაზუსიდან ჩანს, ლაშას გიორგის წინაშე ასევე წარმოეშობა მოვალეობები, ვინაიდან იგი ვალდებულია 1 წლის მანძილზე ყოველთვიურად 30 ლარი გადაუხადოს გიორგის.
8. პირველი შუალედური შედეგი: გიორგისა და ლაშას შორის დადებული გარიგება არაა მხოლოდ უფლებრივი სარგებლის მომტანი.
9. საკითხავია, ჰქონდა თუ არა ლაშას მშობლების წინასწარი თანხმობა გიორგისთან ველოსიპედის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე. როგორც კაზუსიდან ჩანს, ლაშას არ ჰქონდა მშობლების თანხმობის იმედი და მათ არ გაუმხილა, რომ გიორგისთან დებდა გარიგებას. ამდენად, ადგილი არ ჰქონია კანონიერი წარმომადგენლის წინასწარ თანხმობას. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კონკლუდენტურ თანხმობას სსკ-ის 65-ე მუხლის მიხედვით, როცა არასრულწლოვანი, კანონიერი წარმომადგენლის ან მესამე პირების ნებით, მათ მიერ გადაცემულ თანხებს განკარგავს თავისუფლად.
10. ლაშა ველოსიპედის შესაძენად იყენებს „ჯიბის ფულს“, რომელსაც მშობლები აძლევდნენ მას სსკ-ის 65-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული თავისუფალი განკარგვისათვის. ლაშას მოქმედება შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს. მაგრამ აქვე გაჩნდება კითხვა, „ჯიბის ფულის“ განკარგვის დროსაც აუცილებელია უფლებრივი სარგებელი ნახოს არასრულწლოვანმა, თუ მარტო მაშინაა ეს აუცილებელია, როცა კანონიერი წარმომადგენლების თანხმობაა საჭირო გარიგების დასადებად?
11. ლაშამ „ჯიბის ფულიდან“ ველოსიპედის ღირებულების ნაწილი გადაიხადა და, ამდენად, იგი მოქმედებს სსკ-ის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. თუმცა, „ჯიბის ფულის“ თავისუფალი განკარგვა უფლებრივი სარგებლის მიღებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ლაშა სარგებლის მიმღებად ჩაითვლებოდა, თუკი „ჯიბის ფულით“ ერთჯერადად გადაიხდიდა ველოსიპედის ყიდვის ფასს და გიორგის წინაშე მთლიან ვალდებულებას შეასრულებდა. კაზუსიდან ჩანს, რომ ამას ადგილი არ ჰქონია. უფლებრივი სარგებლის შეფასების საკითხი ასევე მოიხსნებოდა, თუკი ლაშა გადაიხდიდა ბოლო თვის გადასახდელ თანხას და ამით მთლიან ვალდებულებას შეასრულებდა. კაზუსიდან ჩანს, რომ ლაშას არა აქვს მთლიანი ვალდებულება შესრულებული, ვინაიდან მას დაფარული აქვს მხოლოდ 6 თვის თანხა. ლაშას დარჩენილი აქვს კიდევ გადასახდელი 6 თვის თანხა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი გიორგის წინაშე კვლავაც მოვალეობებითაა დატვირთული.
12. ლაშას მიერ დადებული გარიგების ნამდვილობისათვის საჭირო იყო მშობლების, როგორც კანონიერი წარმომადგენლების, შემდგომი თანხმობა. როგორც კაზუსიდან ჩანს, მშობლებმა არათუ მოიწონებს ლაშას მოქმედება, არამედ მოითხოვეს მის მიერ დადებული გარიგების ბათილობა.

13. მეორე შუალედური შედეგი: გიორგისა და ლაშას შორის დადებული ხელშეკრულება საბოლოოდ ბათილია და შესაბამისად, გიორგის მოთხოვნა არ წარმოშობილა.
II. საბოლოო შედეგი: გიორგის არა აქვს უფლება ლაშასგან მოითხოვოს მომდევნო თვის თანხის გადახდა სსკ-ის 477-ე მუხლის საფუძველზე.

კაზუსი N6

ფესტივალი ბათუმში

მუხლები: 50; 81; 84

როგორც კაზუსიდან ვიგებთ, მომღერალმა ლადომ მიიღო მოწვევა, მონაწილეობა მიეღო ბათუში გამართულ ფესტივალში სათანადო ანაზღაურებით ლადომ აღნიშნულ შემოთავაზებაზე თანხმობა წერილობით მაშინვე განაცხადა, თუმცა ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებდა წასვლას და გაფრთხილების გარეშე გააგზავნა მისი საუკეთესო მოსწავლე ავთო . მაგრამ ადმინისტრაციამ როგდესაც ეს შეიტყო, განაცხადა, რომ გასამრჯელოს არ გადაიხდიდა, რადგან მას პირადად არ უმღერია. ამ გარემოებიდან უნდა ვიმსჯელოთ, რომ როდესაც ლადო ავად გახდა ეს უნდა ეცნობებინა ადმინისტრაციისთვის და ამის შემდეგ გაეგზავნა თავისი მოსწავლე. თავისი ნებით არ უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი. როდესაც პიროვნება წარმომადგენელს აგზავნის ამ შემთხევვაში კონცერტზე რა თქმა უნდა უფლება მოვალეობები წარმოეშობა ლადოს, მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში არსებითად იცვლება პირობები და ლადო არ მღერის პირადად, ეს წარმოადგენს არსებით შედომას და გარიგება საცილო შეიძლება გახდეს ორგანიზატორების მოთხოვნით. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ: ავთოს არა აქვს უფლება ადმინისტრაციისაგან მოითხოვოს გასამრჯელო.

კაზუსი N7

მუხლები: 11 (პირველი ნაწილი); 12 (პირველი და მეოთხე ნაწილები); 50; 58 (პირველი ნაწილი); 14 (პირველი ნაწილი); 63 (პირველი ნაწილი); 65 (პირველი პუნქტი); 976 (პირველი ნაწილი); 12 (მესამე ნაწილი).

როგორვ კაზუსიდან ვიგებთ 6წლის გიორგიმ ოპოვა 10 ლარი და იყიდა ბურთი,7 წლის სანდრომ მშობლის მიცემული ფულით იყიდა ბურთი ,გიორგი და სანდრო შეხვდნენ 16 წლის ახალდაქორწინებულ ნიკას და მაისურებში გაუცვალეს ბურთები,როდესაცმშობლებმა ამის შესახებ გაიგეს მოითხოვეს ბავშვების მიერ დადებული გარიგების ბათილობა. გიორგი რომელიც არის 6 წლის არის ქმედუუნარო და მის მიერ დადებული გარიგება ბათილია.58 მუხლის 1ნაწილის თანახმად ბათილიაა ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგება.ანუ გიორგის მიერ დადებული გარიგება ავტომატურად ბათილია. სანდრო რომელიც 7 წლის არის ,შეზღუდული ქმედუნარიანია.სსკ14მუხლის 1ნაწილის თანახმად.ხოლო 63მუხლის 1ნაწილის თანახმად როდესაც არასრულწლოვანი 7-18 წლამდე დებს გარიგებას ეს გარიგება მამდვილობისთვის საჭიროებს წარმომადგენლის მოწონებას,აქედან სანდროს მიერ

დადებული გარიგება არ არის ნამდვილი..64 მუხლიდან შეგვიძლია ვთქვათ რომ ნიკას უფლება აქვსუარი თქვას ხელშეკრულებაზე,რადგან მან იცოდა რომ ბავშვებს და თანაც არასრულწლოვნებს არ ქონდათ წარმომადგენლების თანხცმობა.რაც შეეხება თავად ნიკას ის არის ქმედუნარიანი 12მუხლის 3ნაწილიდან გამომდინარე ქმედუნარიანია პირი რომელიც 18 წლამდე იქორწინებს .საბოოლოოდ შეიძლება ითქვას რომ ნიკა თავად გადაწყვეტს როგორ მოიქცეს რადგან ქმედუნარიანია.ხოლო გიორგისა და სანდროს მშობლებს უფლებაა აქვთ გარიგების ბათილობა მოითხოვონ .